სახალხო გაზეთი

№ 1146 შაბათი, 22 მარტი 1914 წ. № 1146

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ ხადამის 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიჟში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 8.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის „სახალხო გაზეთზე“
(სურათებიანი დამატებით)

წლიურ ხელის მომწერთ პრემიად მიეცემათ:
1) ქართველი მწერლები, 2) უცხოეთის მწერლები, 3) სამეცნიერო კრებული.

წლიური ფასი 8 მან. 50 კაპ.

მისამართის გამოსაცვლელი 40 კ., პრემიების გასაგზავნი 60 კ.
ნაწილ-ნაწილ ფულის გადახდა შეიძლება შემდეგ ვადებზე: პირველ აპრილამდე 5 მან., პირველ თიბათვემდე 2 მან. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.
მისამართი: Тифлисъ. газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190

მიიღება ხელის მოწერა
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებათა მე-5-ე ტომზე.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ 23 მარტამდის **ტფილისში: „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში** და ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში. **გორში** სანდრო გძელიშვილთან და **ქუთაისში** ისიდორე კვიცარიძესთან, **ჭიათურაში** შავი ქვის მრეწველთა კანტორაში გიორგი ნანეიშვილთან და **ბათუმში** ტრ. ინასარიძესთან.

წმინდა შემოსავლის ნახევარი გადაიდება **არჩილ ჯორჯაძის** ძეგლის სასარგებლოდ. **ფასი ხელის მოწერით 80 კაპ.**

„სახალხო გაზეთი“-ს რედაქცია
უწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 23 მარტს, დიდუბის ტაძარში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის
არჩილ ჯორჯაძის
სულის მოსახსენებლად.

წირვა დაიწყება დილის 9 ნახევარ საათზე, პანაშვიდი ნაშუადღევს 12 ნახევარ საათზე.

ტფილისის მუშათა ერთი ნაწილი
აუწყებს ამხანაგებს და თანამოაზრეებს, რომ კვირას, 23 მარტს, დიდუბის ტაძარში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის ჩვენი მასწავლებლის
არჩილ ჯორჯაძის
სულის მოსახსენებლად.

მიხეილ გიგოს ძე, ვახტანგ მიხეილის ძე, ნინო ნიკიფოს ასული, ეფროსინე გიგოს ასული ბერეჟიანები აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობებს, რომ კვირას, 23 მარტს, კუკიის წმინდა ნინოს მეორე ეკლესიაში, გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათი საყვარელი

მარო დავითის ასულის კუკულავა-ბერეჟიანის

სულის მოსახსენებლად. 205

ქართული თეატრი
კვირას, 23 მარტს, დილით „ჯეჯილის“ რედაქცია მართავს
საბავშვო დილას
წარმოდგენილი იქნება პიესა:
„ყვავილ თა შორის“ და
საკონცერტო განყოფილება
ადგილების ფასები დაკლებულია. დასაწყისი 3 საათზე. 201

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, კორდანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1094

ვაჟზლის სამკურნალოში
(**შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695**)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.
მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.
პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.
ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.
ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.
სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.
ვაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის სასყიდელი—50 კაპ.

წამლობა „914“. 1023

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ახალი სალიტერატურო-სამეცნიერო კრებული

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული დ ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით, პ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე.

ფასი 1 მანეთი.

გორის პირველი კერძო
სამკურნალო
ქირურგიულ და თერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.
გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.
წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.
მეი-ხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.
ბრიუკნერი მ. მ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.
გინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.
რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.
ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606“, „914“.** 1088

ტფილისის კერძო სამკურნალო
ქვენიძის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვერცხლის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი ბ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე ზ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფიდლერი ი. გ.** ყოველ დღე, 11—12. **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოზიანი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ი.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულ.	**მიქელაძე ზ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფიდლერი გ. ს.** ყოველ დღე 11—2. **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ-დღე 1-ნახ.—2 ს.
ნერვიულ სნეულებ. და ელექტ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ., ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. სნ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1070

ტელეფ. ### ქართული თეატრი
ნი № 795.

კვირას, 23 მარტს, 1914 წ., ქართ. დრამ. საზ. დასის მიერ **ნ. ჩხეიძის** მონაწილეობით წარმოდგ. იქნება ორი ახალი პიესა:

1) **ბრმა,** დრ.-პოემა 3 მოქ. კონ. ერისთავისა. აზრი აღებულია.
2) **სიყვარული,** დრ. 3 მოქ. აკაკი წერეთლისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: მდივანი, პიერქტა, ქიქოძე, ჩხეიძე, ჯავახიშვილი, ბ-ნნი: აბაშიძე, არაღელი-იმხნელი, გუნია, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყ. საღ. 8-ნახევარ საათ. ◆ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

1078 რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** ადმ. ქარ. დრ. საზ.

არტისტიულ საზოგად. საკონცერტო დარბაზში
კვირას, 23 მარტს, 1914 წ.

პეტერბურგის ცნობილი ლიტერატორი
ი. მ. ვასილევსკი
(„ნე-ბუკვა“),
წაიკითხავს **ლექციას** შემდეგ თემაზე:
ოჯახის დანგრევა,
(ჩხუბი მამაკაცებისა და დედაკაცებისა. ცოლები და ქმრები. მამები და ბავშვები).

დაწვრილებით აფიშებში დ პროგრამებში. ბილეთები 3 მ.—55 კ. დასაწყისი 8-ნახ. ს. წინდაწინ ბილეთები იყიდება ი. დ. კიკნაძის წიგნის მაღაზიაში „ნოვაია რეჩი“, გოლოვ. პრ., სახაზინო თეატრის პირდაპირ და არტ. კლუბში შესასვლელთან საღ. 6—8 ს. 205

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:
ახლად მიღებული წიგნები:

აბ-ფარა. Грузинскіе хизаны и идіологи хизанства. ტ 1913, . 20 კ.
ს. ლ. ავალიანი. Крѣпостное право и исторія Крестьянской реформы въ Тифл. и Кут. губ., ოდესა, 1912, ... 2—50 „
Крестьянская реформа въ Мингр., Сван. и Сухумск. отд., ოდეს. 1913, 1— —
Очерки по крестьянскому вопросу въ Закавказьѣ, ... 30 „
Опытъ Исторической хрестоматій, ოდესსა. 1913, . . . 1—
МАРРъ. Опредѣленіе языка второй категоріи Ахеменидскихъ клинообразныхъ надписей, პეტ. 1914, —75 „
ვედრების. Нетровутый уголокъ, —60 „
გლახაშვილი. წყურვილი, დრ. 4 მ. —30 „
ი. როსტომაშვილი. გონიერი და იაფი მიწათ-მოქმედება-მეურნეობა, —10 „
—ღორის მოვლა და მოშენება, . —20 „
—როგორ უნდა ვასწავლიდეთ, . —10 „
—როგორ არის მოწყობილი სწავლის საქმე ბოლგარიაში . . . —10 „
—საფუძველი ზნეობრივი აღზრდისა, —10 „
ნ ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება, . . . —20 „
მენრის შეინეს ლექსები. ტფ. 1913, —60 „
ს. ქვარიანი. შოთა რუსთაველი და დავითი, ... —30 „
კელენჯერიძე. გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, ქუთ. 1913, . 12— „
მწერალთა ოთხი, სათამაშო, შედგ. თამარა თაქთაქიშვილისაგან, 1914, —60 „
ი. ჭავჭავაძის თხზულება, ყდით, 10 მან.

ადრესი: Тифлисъ Книж. магазинъ О-ва грам. ср. гр. нас. 1072

საერო ტელეფონი № 720. **საერო**
კახური ღვინოები
საერო-ს
ამხანაგობისა
იყიდება
კავკასიის აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებაში და ყველა საუკეთესო საბაკალეინო და გასტრონომიულ მაღაზიებში.
კანტორა და მთავარი საწყობი ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში.
საერო ტელეფონი № 720. **საერო** 1108

მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის
კურსები
(თეორეტიული და პრაქტიკული),

კავკასიის სააბრეშუმო სადგურთან, მომავალ აპრილის 15-დან გაიხსნება და ივნისის 1-დე გასტანს. კურსები უფასოა. მსურველთ კურსებზე ჩაწერა შეუძლიანთ სააბრეშუმო სადგურის კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა, დილის 11—12 საათამდე. ცნობების მისაღებად შეიძლება მიჰმართონ სააბრეშუმო სადგურს პირადად და წერილობითაც. 1122

საგურთალოზე
მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ თელავს ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ იოანეს ძე **თამამშევს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ წინდ. მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის
სამკურნალო
ქალ. ბაქოში,
მუდმივ საწოლებით:
სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის. ფასი მორიგებით.
ადრესი: Баку, магазинная, № 50.
1084

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი
ბ. გ. მეგრაბიანცი
იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს, სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **ღარიბებს** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე **უფასოდ.**
ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92 1087

ექიმი ზ. ა. მიქელაძე
მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ხერკეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 1011

ქ. გ ო რ შ ი
(დ ო ქ ტ ო რ ა ნ ტ ი).
ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. შუაგულ ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ- 1050

ნაძალადევში
ექიმი
ხუდადოვის ქ., 4.
ი. რ. სურგულაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 ს., საღამოთი 4½—7 საათ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს. 141

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ვენერიულ და კანის ავადმყ.: ვასერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნის ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1080

ექიმი პაველ არღაზიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ექიმი მ. მუხელიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ტფილისი, 22 მარტი

სამელიორაციო კრების მოლოდინში.

ჩვენს მეურნეობას ბევრის მხრით სჭირდება დახმარება. ვინც სოფლის მოთხოვნილებებს დაჰკვირვებია, ეცოდინება, რომ ბევრი მათგანის დაკმაყოფილება ვერა ხერხდება არა იმდენად იმიტომ, რომ ხალხს შეგნებული არა იმდენად იმიტომ, რომ ხალხს შეგნებული არა აქვს მნიშვნელობა სამეურნეო ცხოვრების გაუმჯობესობისა, არამედ უფრო იმიტომ, რომ რიგიანად და მიზანშეწონილად არ არის მოწყობილი ორგანიზაცია დახმარებისა. ხალხი მშვენივრად ჰხედავს, რომ ძველი, მამა-პაპური წესი მეურნეობისა აღარ ვარგა, რომ ახალმა დრომ მოიტანა ახალი წესი მეურნეობისა და ცხოვრებაშიც ის რჩება გამარჯვებული, ვინც უკეთესად შეითვისებს მეურნეობის ახალ წესებს. ამის მტკიცება ეხლა თითქმის აღარავისა სჭირდება. მომზადებულია საკმაოდ დიდი მასალა ინტენსიურ მეურნეობაზე გადასასვლელად. საჭიროა მხოლოდ საზოგადოებრივი დახმარების ორგანიზაცია ყველა იმ საშუალებათა დახმარებით, რომლებიც ჩვენს განკარგულებაში იმყოფება. ყველაზე უფრო კარგი ის იქნებოდა, რომ ჩვენში განვითარებულიყო სავანგებო სასოფლო-სამეურნეო კრედიტი. წვრილი კრედიტის საზოგადოებანი, მიუხედავად მათი დიდის მნიშვნელობისა, ჯერჯერობით ამ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებენ. ჯერ ერთი, საკრედიტო ამხანაგობანი დიდს კრედიტს ვერ აძლევენ მეურნეობის გასაუმჯობესებლად, და ამიტომ სოფლის მეურნეც მათის დახმარებით ძნელად თუ მოახერხებს ინტენსიურ მეურნეობაზე გადასვლას; მეორეც, ჯერ ნაკლებად არის განვითარებული საშუამავლო ოპერაციები, რაც დიდად შეუწყობდა ხელს გაუმჯობესებულ სამეურნეო იარაღების შეძენას და სხვა. ამისთანა პირობებში სასოფლო მეურნის პირადს ინიციატივას ძალიან დიდი მნიშვნელობა ეძლევა. პირადი ინიციატივა და ხშირად ძლიერი სურვილი მეურნეობის გაუმჯობესებისა დაუკმაყოფილებელი რჩება უფულობის გამო. აი, რატომ ვამბობთ რომ სავანგებო სასოფლო-სამეურნეო კრედიტს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი საშუალებას მისცემს თვითეულ მეურნეს თავისი საკუთარი მეურნეობა გაუმჯობესოს და წინ წასწიოს.

მაგრამ ჩვენს სოფელს მარტო ეს არა სჭირია. არსებობს მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილება კერძო მეურნეს, სხვასთან შეუთანხმებლად და სხვის დაუხმარებლად ვერ შეუძლიან. ასეთია, მაგალითად, სამელიორაციო საჭიროებანი. ყველა სხვა საკითხებს რომ თავი დავანებოთ, მალე თავის სატეხ საქმედ გადაიქცევა უწყლობა იქაც კი, სადაც ჯერ ამ მხრით ჩვენს მეურნეს თითქოს არავითარი საფრთხე არ მოელის: ვამბობთ „თითქოს", რადგანაც ნამდვილად ძალიან დიდს საფრთხეს წარმოადგენს ის უსისტემო და ვანდალური ჩეხვა ტყისა, რომელიც ჩვენში სწარმოებს. გარდა ამისა, არის მრავალი ისეთი კუთხე ჩვენს ქვეყანაში, სადაც მეურნეობა კარგად ვერ განვითარებულა მხოლოდ იმიტომ, რომ სარწყავი წყალი არ არის. დღიურ მოთხოვნილებად არის გადაქცეული ამისთანა ადგილებში სარწყავი არხების გაყვანა და სხვა.

არსებობს მრავალი სხვა ამისთანა მოთხოვნილება, რომელსაც გამორკვევა უნდა. ამ მიზნით 1914 წლის ენკენისთვეში, თანახმად მეფის მოადგილის მიერ დამტკიცებულ დებულებისა, იმართება კავკასიის სამელიორაციო კრება. დებულების მე-4 მუხლის ძალით, კრების მონაწილედ შეიძლება იყვნენ: მთავრობისა და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლები, სამელიორაციო საქმის სპეციალისტები, ერობისა და ქალაქების მოღვაწენი, სოფლის მეურნეობის ინსპექტორები, წარმომადგენლები კოოპერაციისა, ის კერძო პირნი, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ სამელიორაციო საქმესთან, სამელიორაციო კრებათა საჭიროების წევრნი და სავაჭრო-სამრეწველო ფირმათა წარმომადგენლები.

როგორც ჰხედავთ, დაინტერესებულ ადამიანს შეძლება ეძლევა მახლობელი მონაწილეობა მიიღოს მომავალ კრებაზე და ყოველის მხრით დაასურათხატოს ჩვენი ქვეყნის სამელიორაციო საჭიროებანი. ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, უეჭველია, ეხლავე შეუდგება საქმეს და შეეცდება, რომ ჩვენი მოთხოვნილებანი და საჭიროებანი რაც შეიძლება სრულად იყოს გაშუქებული მომავალ სამელიორაციო კრებაზე. უეჭველია ასევე მოიქცევა ყველა, ვისაც ცოდნა და მდგომარეობა ნებას აძლევს, საქმეში ჩარევით, სასარგებლო ღვაწლი დასდოს ჩვენი ქვეყნის სამელიორაციო საჭიროებათა დაკმაყოფილებას.

ქართული პრესა

პეტერბურგის კალოშების სამრეწველო ქარხანათა მუშების მოწამვლის გამო გაზეთი **„ჩვენი ერი"** სწერს:

რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ მუშის სიცოცხლე სიცოცხლედ არ მიაჩნიათ, მუშის გაჭირვება გაჭირვებად და თანამედროვე „მზრუნველები" მზად არიან მუშათა ზურგიდან მონაგები ფულის გარდა, მისი სიცოცხლე და კეთილდღეობაც იმსხვერპლონ ნსუნაგსა და უშრეტ მადას? მარტო ის ფაქტი, რომ მოწამვლის მეორე და მესამე დღეს, როცა მუშებმა განაახლეს მუშაობა და მათ კვლავ საწამლავი დახვდათ ქარხნებში, მარტო ეს ფაქტი, ვამბობთ ჩვენ, რას ამტკიცებს, თუ არ იმას, რომ ათეული და ასეული მუშის სიცოცხლეს იმდენი ფასიც არ აქვს, რომ იგი ამ ქვეყნის ძლიერთა **ყურადღებად ღირდეს?** რომ ხსენებული საშინელებისათვის ყურადღება მიექციათ, ხომ არ განმეორდებოდა მაინც უბედურება? მაგრამ რას ვამბობთ, განა ამ შემთხვევაში როდისმე შეუწუხებიათ თავი, რომ ახლა შეიწუხონ? ეს ყოველთვის ასე იყო და არის...

⁂

გაზეთ **„აზრში"** დაბეჭდილია დასასრული სარედაქციო წერილისა ქიათურელი მუშების საპასუხოდ. წერილში ნათქვამია, რომ რუსეთში თუ უკეთაა გაზეთის საქმე დაყენებული, მიტომ, რომ იქ გაზეთს მეტი ხელის მომწერი ჰყავს და მყიდველი, გარდა ამისა საგაზეთო ფონდებსაც აგროვებენო.

რუსეთში ფონდის გასაძლიერებლად მრავალი ათასი მანეთი შეკრიბეს. რას ვხედავთ ჩვენში? აბა ამ ნიადაგზე რამდენი ჯგუფი შეაკავშირეთ? ის კი არა, ზოგან გაზეთის გამოწერასაც ზედმეტად სთვლიან, უფასოდ დაგვირიგეთო.

დროა, ჩვენი მუშა გაევროპიელდეს და გაზეთის არსებობა თავისი წვლილით უზრუნველჰყოს.

ასე დააყენეთ საქმე და დაინახავთ, რომ გაზეთი მთელ მხარეს მოეფინება, მალე ორჯერ მეტი გავრცელდება, ვინემ დღეს, კორესპონდენტები გაჩნდება, თვით მიყრუებულ კუთხეებში მშრომელთა მოდუნებული ენერგია ამუშავდება და საერთო საქმისთვის შემოკრბება. მაშინ მოწინავე მუშასაც საშუალება მიეცემა თავისი ნიჭი მოძრაობის სხვა და სხვა დარგში გამოიჩინოს, მწერლობას უფრო ფხიზლად მოეპყრას და თვისი კალამი აამოქმედოს. აი საუკეთესო თავდები ახალი მწერლებისა და რედაქტორების გამოსამუშავებლად.

ეს, რასაკვირველია, ენერგიულ მუშაობას მოითხოვს და ამიტომ მას გვერდს უხვევენ და დემაგოგიურ ფრაზას ისვრიან: ინტელიგენცია გვიმორჩილებსო.

მუშათა თვითმოქმედება, მაგრამ დემაგოგიის დატუქსვით,—მეტი კრიტიკა, მაგრამ ასჯერ მეტი ამოქმედება—აი ნიადაგი გამარჯვებისა.

დემაგოგია კი სისუსტეს ნიშნავს და არევდარევას გვიმზადებს."

⁂

„ბათუმის გაზეთი" ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების დღევანდელი მდგომარეობის შესახებ სწერს:

ხალხის ისტორიული და თანამედროვე ცხოვრების და პარტიათა აღორძინება და ბრძოლა, დამახასიათებელია დღევანდელი კულტურული საზოგადოებისა და გამომეტყველია მისი პროგრესიული მსვლელობისა. ამიტომ საზოგადოებრივი დიფერენციაცია ჩვენთვის დადებითი მოვლენაა. ეს მეტი ევროპიელობის მაჩვენებელია. ამით სოციალური ბრძოლისთვის იწმინდება და იკაფება საზოგადო ნიადაგი და პირობები, პოლიტიკური ტაქტიკა უკეთ შუქდება, პარტიული ურთიერთობა უფრო გამჭვირვალე ხდება და მუშა ხალხის კულტურული და ზოგად გამათავისუფლებელი მოძრაობაც ნაკლებად იჩრდილება სხვა და სხვა გარემოებათაგან. ქართველი ბურჟუაზიის და სხვა შეძლებულ საზოგადოებრივ ჯგუფების პოლიტიკური თვითგამორკვევის აჩქარებული პროცესი—აი ფაქტი, რომლის უფრო საიმედო და პირდაპირი ლიტერატურული მოციქულებია „კლდე" და დღევანდელი „იმერეთი".

⁂

ამავე გაზეთში **შახან ეფენდი დიასამიძე** აღნიშნავს, რომ აუცილებლივ საჭიროა ქართული წიგნების გამოცემა მაჰმადიან ქართველებისთვის:

„ვინც ჩვენს მწერლობას თვალყური ადევნებს, უსათუოდ ეცოდინება ის გარემოებაც, რომ ამ უკანასკნელ დროს მაჰმადიანმა ქართველებმა თვალი გაახილეს და გამოიფხიზლეს. დღეს ნელ-ნელა უკვე გამოდიან თავიანთ სამშობლო ქვეყნის ისტორიის ასპარეზზე. ეს რომ ცხადია, ამას კარგად ასაბუთებს თვით ის გარემოებაც, რომ ამ ბოლო დროს ქართულ გაზეთებში დაიბეჭდა ისეთი წერილები, რომელნიც მაჰმადიან ქართველებს ეკუთვნის. პრესის საშუალებით ხმას იღებენ, როგორც მაჰმადიანი ქართველი მამაკაცები ისე მათი ქალებიც. ამის აშკარა საბუთი გახლავსთ ჰაიდარბეგ აბაშიძე, მაჰმადიანი ქართველი და სხვა. რომელთა გონივრული წერილებიც იბეჭდება „ბათუმის გაზეთში" და სხ..

ამიტომ საჭიროა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და ქართველ მაჰმადიანთათვის დაიბეჭდოს ისეთი წიგნები, რომელნიც პირდაპირ მათთვის იქნება შედგენილი.

ამ გვარმა წიგნებმა, ამბობს ზ. დიასამიძე: ოდნავადაც არ უნდა შეურაცხჰყოს მაჰმადიან ქართველთა სარწმუნოებრივი გრძნობაო. სრული სიმართლეა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი ფრიად საკეთილო საქმე მალე განხორციელდება.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

ქუთაისი.

გაზ. „ჩვენი ერის" მე-5 ნომერი დაიჭირეს.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **გუბერნატორმა ნება დართო** სკოლის გარეშე განათლების გამავრცელებელ საზოგადოებას, გამართოს აპრილში ერთი სეირნობა თვის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

◆ **გვირილობა.** გუბერნატორმა ნება დართო ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლ კავკასიის საზოგადოების წარმომადგენელს, რათა ტფილისში 20 აპრილს „თეთრი ყვავილი"-ს დღესასწაული გამართოს.

◆ **კოჯრის** ქალაქის რწმუნებულთა სამსახურის ვადა უთავდებათ. ამის გამო კოჯრის მოურავი გუბერნატორს სთხოვს, ნება დართოს მას, 20 ივლისისათვის ახალ რწმუნებულთა არჩევნები დანიშნოს.

◆ **აბანოები.** გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა, აბანოების გაღება-დაკეტვის წესები იმგვარად შესცვალოს, რომ წესიერ დასვენების სავალდებულო დადგენილება დაცულ იქმნას.

◆ 19 მარტს ტფ. ერთმა მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწემ შემთხვევით შენიშნა, რომ ანტისანიტარულ მდგომარეობაში იმყოფება ტფილისის **მეორე საპოლიციო უბნის ბინა,** და ამიტომ ამ ნაწილის ბოქაულის პასუხისგებაში მისაცემად შეადგინა ოქმი.

◆ **მასწავლებლის დანიშვნა.** ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების სასკოლო სექციამ კავკავის სკოლის მასწავლებლად აირჩია ბარბარე იასონის ასული გარსიაშვილი, რომელიც ამ ჟამად ტფ. დედათა საეპარქიო სასწავლებელში ქართულ ენასა და გალობას ასწავლის.

◆ **სახალხო სახლის არსებობის ხუთის წლის თავი** 25 მარტს სრულდება. ამის გამო ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ამ დღეს სახალხო სახლში პანაშვიდი გადაიხადოს განსვენებულ კონსტანტინე იაკობის ძის ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად.

◆ **პოლიტეხნიკუმი.** მოლითიდან ტფილისში ჩამოიტანეს იქაურ კირის ნიმუში და მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის სატეხნიკო კომისიას გადასცეს. ნიმუშებს შეამოწმებენ და თუ კარგის თვისებისა აღმოჩნდა, მაშინ პოლიტეხნიკუმის შენობას ამ კირს მოახმარებენ.

სატეხნიკო კომისიის კრება განზრახულია 26 მარტისთვის.

◆ **შილოვისეულ ადგილზე,** როგორც ვწერდით, ქალაქის თვითმართველობა სამ სართულიან სახლს აშენებს. ქვედა სართულში მოთავსებული იქნება მაღაზიები. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, მაღაზიები საჯარო ვაჭრობით გასცეს ამ დღეებში იჯარით.

◆ **სამხედრო ბეგარაზე** წელს გაიწვევენ იმ პირთ, რომელნიც დაბადებულნი არიან 1894 წელს. ჯარში გასაწვევთა სიის შემოწმებას ქალაქის სამხედრო საკრებულო 1 აპრილიდან შეუდგება.

◆ როგორც ვწერდით, ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურედ ნამყოფი **დ. ხართიშვილი** საბჭოს კრებაზე გაზეთ „ნოვოე დელო"-ს მიერ მიცემულ ბილეთით შევიდა და ამ შესვლას ცნობილი აურზაური მოჰყვა. ამის გამო ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რათა საბჭოს კრებაზე შემსვლელს აუცილებლად მოსთხოვონ ხოლმე ბილეთები და ისე შეუშვან. ამას გარდა პრესის წარმომადგენელთა სტოლზე დააწერეს ყველა იმ გაზეთის სახელები, რომლის წარმომადგენელნიც კრებებზე დაიარებიან. დარბაზში შესვლა შეუძლიან მხოლოდ ერთს წარმომადგენელს თითო გაზეთიდან.

◆ ადგილობრივ მეურნეობის მთავარმა სამმართველომ ტფ. ქალაქის გამგეობას მოსთხოვა შემდეგი ცნობები ქალაქების წარმომადგენელთა მეორე კრების შესახებ: 1) რამდენი წარმომადგენელი იყო კრებაზე, 2) რომელმა ქალაქებმა გამოგზავნეს კრებაზე თავისი წარმომადგენლები, 3) რა მოხსენებანი იყო წაკითხული კრებაზე და სხვა.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი გუბერნატორს შეეკითხა, ტფ. გუბერნიის რომელ ადგილებში არის საჭირო ამ მოკლე ხანში საფოსტო და საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილებათა დაარსებაო.

◆ 1912 წ. მთავრობამ ოზურგეთის მაზრაში ნატანების მახლობლად დაასახლა 45 კომლი ოსმალეთიდან დაბრუნებული ზაპოროჟელი რუსი (ეს ზაპოროჟელები მე-18 საუკ. გადასახლდნენ ოსმალეთში). თითოეულს კომლს თორმეტ-თორმეტი დესეტინა მიწა მისცეს და თან 450 მან. სესხად. ამბობენ, წელს ზაფხულში 75 ოჯახი ზაპოროჟელი რუსი კიდევ უნდა დაასახლონ გურიაში.

საზოგადოებანი და კრებები

◆ დღეს, საღამოს 8 საათზე **კავკასიის საიურიდიო საზოგადოების კრებაა** დანიშნული საოლქო სასამართლოს დარბაზში. ი. გ. ჯივანოვი წაიკითხავს მოხსენებას: „პასუხისმგებლობა სიბერისა გამო ჩადენილ დანაშაულობათათვის". გ. ი. გძელიშვილი — „კავკასიის ადგილობრივ სასამართლოს რეფორმები".

◆ დღეს, საღამოს 8 საათზე **საზოგადო კლუბის დარბაზში** საუბარი გაიმართება „კავკასიაში ეროების შემოღების შესახებ".

ქუთაისი

◆ ქალაქის ქონებათა საერთო ღირებულება მიხეილის სათ.-აზნაურო ბანკის შეფასებით უდრის 8.669,662 მანეთს. წმინდა მოგება შემფასებელი კომისიით უდრის 811,800 მანეთს. უკანასკნელ თანხიდან ქალაქის კასას უნდა გადაეცეს 81,118 მან. ქალაქს ახდევინებენ: სახელმწიფო გადასახადს დაახლოვებით—600,000 მანეთს; საერობო გადასახადს—30,000 მანეთს, ბინის გადასახადს 13,000 მან.; ბინების დასაზღვევ ხარჯებს—35,000 მ. ხარჯს ქუჩებისა და ეზოების სისუფთავისთვის დახლოვებით—25,000 მან. ამგვარად საერთოთ ხარჯი გამოდის 644,118 მან. ეს რიცხვი რომ გამოვაკლოთ ქალაქის ქონებათა წმინდა შემოსავალს დაგვრჩება 167,682 მ.; ამას დაუმატეთ მომავალი მეეზოვეების ინსტიტუტის შემოღება. ქუთაისს სულ დასჭირდება 600 მეეზოვე. თითოეულს უნდა მიეცეს თვიურად 30 მ., ე. ი. ყველა მეეზოვეს წლიურად დასჭირდებათ 216,000 მან. ასე რომ სულ დაჯდება 300,000 მანეთამდე.

◆ ოთხშაბათს, 19 მარტს ღამით გაზ. „იმერეთის" ასოთ-ამწყობმა ერმილე ქიქინაძემ თავი მოიწამლა კარბოლის სიმჟავით. იგი უკვე გარდაიცვალა. მოწამვლის მიზეზი გამოურკვეველია.

◆ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის შეერთებულმა კრებამ დააკმაყოფილა ქართული გიმნაზიის მზრუნველი კომიტეტის შუამდგომლობა წასული წლის მოგებიდან 6000 მანეთის წინდაწინვე მიღების შესახებ. ხსენებული ფული მიეცემა გიმნაზიას მაშინ, როცა ბანკის ორგანოთა დადგენილებას დაადასტურებს ფინანსთა მინისტრის რწმუნებული ბ-ნი სობრიევსკი.

◆ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობამ წარუდგინა ამავე ბანკის ზედამხედველ კომიტეტს ნუსხა იმ კითხვებისა, რომელსაც წარუდგენენ მორიგ კრებას ბანკის რწმუნებულებისას. მოგვყავს ეს ნუსხა: 1913 წლის ანგარიშის განხილვა გამგეობისა, ზედ. კომიტეტისა და შემფასებელი კომისიის მოხსენებით. 2. 1913 წლის მოგების განაწილება თანახმად ბანკის წესდების მე-101 §-სა 3. ხარჯთაღრიცხვა. 4. შტატების შემუშავება. 5. მოსამსახურეთა საპენსიო კასის წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება. 6. მოხსენება ბანკზე დარჩენილი მამულების შესახებ 7. წესდების ზოგიერთი პარაგრაფის შეცვლა, 8. მოსამსახურე პირთა არჩევა.

◆ ქუთაისის გუბერნიის კომიტეტს განზრახვა აქვს შეიძინოს დამშეულთათვის ერთი მილიონი ფუთი სიმინდი.

ქუთაისის გუბერნის კომიტეტს დამშეულთათვის განუზრახავს სიმინდი სათესლედაც გადასცეს სიმინდი დარიგდება იქ, სადაც სიმინდი ისეთი დაბალი ხარისხისა მოვიდა, რომ სათესლედ არ გამოდგება.

სომეხთა ცხოვრება

◆ ტ. აფრიკიანმა 12000 მან. ღირებული სახლი შესწირა მერიამის სომხურ სკოლას ერევანში.

◆ ალექსანდროპოლში გარდაიცვალა ახალგაზრდა ნიჭიერი მწერალი კ. ბურჩაკლიანი.

◆ ერევნის სომხური სემინარიის 75 წლის ისტორიის შედგენა მიანდვეს მწერალს ლეოს.

რკინის გზაზე.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსის თანაშემწე სტ. სოვეტნიკი ინჟინერი ნ. ს. ზურაბოვი დაინიშნა ზაბაიკალის რკინის გზის უფროსად და ბაიკალ-ტონხაის გზის სამუშაოების უფროსად. საცხოვრებელი ბინა ექნება ირკუტსკში. მის ადგილას დაინიშნა ვ. ი. კენგე; კენგეს ადგილზე—მისი თანაშემწე ინჟინერი მ. ვ. კარპოვიჩი, ხოლო ამ უკანასკნელის ადგილზე, როგორც ხმებია, დაინიშნება ტეხნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი ა. ა. პავლოვსკი.

◆ სამტრედიაში ინჟინერი ს. ა. მაქსიმოვსკი გულის სიგანივრით გარდაიცვალა. მისმა ცოლმა ერთი საათის შემდეგ თავი მოიკლა.

ტფილისის მაზ.

◆ **წყალში დამხრჩვალი.** სოღანლუღის ახლოს იპოვეს გვამი ნიკოლოზ ონიკიძისა, რომელიც მტკვარში დამხრჩვალა.

ვისია „იმერეთი"?

I

ჩემ წინ თორმეტი ნომერია ამ განახლებული გაზეთისა; ვკითხულობ, ვუკვირდები, მინდა გამოვიკვლიო, გავიგო მისი ვინაობა, მისწრაფებები, გულისწადილი. ვცდილობ გავიცნო გაზეთი, რას იცავს, ვის ემსახურება, რას ემყარება, მაგრამ ვერა გამიგია. გაზეთი წინააღმდეგებათა რაღაც მოჯადოვებულ რგოლშია მომწყვდეული და ამ რგოლს დღითი-დღე სქედავს და ამაგრებს.

პირველ დღესვე გამოაცხადა გაზეთმა, რომ იგი მემარცხენეა და ხალხის ერთგული მეგობარი და ასეთნაირად აუწყა მკითხველებს თავისი სოფლმხედველობა: „მემარცხენე მხოლოდ მაშინ არის კარგი, როდესაც უტოპიური არ არის და ნამდვილს რეალურს გზას ადგია. მიმართულება უნდა მიგვიწევდეს წინ, მაგრამ სწორის გზით, და არა უდრანით, უგზოუკვლოდ. ჩვენ მხოლოდ ამგვარს მემარცხენეობას აღვიარებთ". აკ შემოფარგლა გაზეთმა მემარცხენეობა, მაგრამ თავისი თავი მაინც მემარცხენედ აღიარა. შემდეგ სტრიქონებში ეს კიდევ უფრო გადაჭრით გამოსთქვა: „ყველაფერი ხალხისათვის და ხალხის მიერ, ერის უმეტესობის კეთილდღეობა—ეს არის ჩვენი მწამსი, რადგან ვიცით, რომ ეროვნულ კულტურასა და განათლებას მხოლოდ უმეტესობის ეკონომიური კეთილდღეობა შეიქმს". მართალი და მშვენიერი სიტყვებია, რომლებსაც გაზეთი მალ-მალე იმეორებს, ხშირად ერთი და იმავე ლექსით. მაგალითად მეხუთე ნომრის მეთაურში ამბობს კვლავ: „ჩვენი ერთად-ერთი მიზანი ხალხის, ე. ი. ერის უმეტესობის კეთილდღეობაა", და „ჩვენს მიმართულებას ახასიათებს არა „ზომიერება" ან „უკიდურესობა", არამედ ის დემოკრატიული დროშა, რომელსაც აწერია: ყველაფერი ხალხისათვის და ხალხის მიერ". ამასვე სწერს მერვე ნომერში: „ჩვენი თვალთსაზრისი მუშათა სარგებლობიდან გამომდინარეობს, რადგან მუშათა, გლეხთა და საზოგადოდ ხალხის კეთილდღეობა შეიქმს ეროვნულს ორგანიზმის განვითარებას და არა ორიოდე კაპიტალისტის გამდიდრება". ხოლო მეთერთმეტე ნომერში ვკითხულობთ: „ეროვნული ორგანიზმის განვითარება ბოლოს და ბოლოს ხალხის განვითარებაა. თუ ხალხი სიღატაკესა და სიბნელეში დარჩა, მარტო ინტელიგენცია და ვაჭარ-მრეწველნი ვერაფერს გახდებიან და მთელი ერი ჩამორჩენილი იქნება". გაზეთი „აზრის' თანამშრომლებს უსაყვედურებს: „თუ ქართველი მუშები მოიგებენ რასმე და თავის მდგომარეობას გააუმჯობესებენ, თქვენზე ნაკლებ არ გაგვიხარდება, რადგან გვრწამს, რომ შეუძლებელია ეროვნული განვითარება ისე, თუ მშრომელი ხალხის ყოფა-მდგომარეობა არ გაუმჯობესდა". და ამასთანავე პოლიტიკურის პარტიების საგულისხმოდ აცხადებს: „ზოგიერთი პოლიტიკური ჯგუფი ამაოდ იჩემებს, ისაკუთრებს მუშათა ინტერესებისათვის თავგამოდების პრივილეგიას და მათი სახელით ლაპარაკობს: ეს უფლება არც ერთს პარტიას არა აქვს და არც არაოდეს უნდა ჰქონდესო" (№ 9).

ამგვარია „იმერეთის" ხალხოსნობა, დემოკრატობა, მშრომელთა ინტერესების დაცვა, მუშებისა და გლეხებისათვის თავის გამოდება. მაგრამ როგორ უნდა მიაღწიოს თავის მიზანს, როგორ უნდა განახორციელოს თავისი დემოკრატიული მისწრაფება? სოციალისტურის გზით? არა. გაზეთი ლაპარაკობს, მე სოციალისტი არა ვარ, მხოლოდ დემოკრატიო, ნაციონალ-დემოკრატიო. მერვე ნომერში გაზეთის მეთაური ამბობს: სოციალისტური ქურქი მოვიხადე, მაგრამ უცებ არ მომიხდია, არამედ დაკვირვებულის ძიებისა და კვლევის შემდეგო, გაზეთი დეპუტატებს ურჩევს, სოციალისტურ გზას ნუ ადგიხართო. გლეხების შესახებ სწერს: „ჩვენ ვიცავთ მათ ეკონომიურ ინტერესებს, ე. ი. წვრილ სამამულო კერძო საკუთრებას... ჩვენ ვიცით, რომ სოციალისტური აგრარული პროგრამები სრული უარყოფაა კერძო საკუთრებისა. მაშასადამე გლეხებს არ შეუძლიათ აღიარონ ეს პროგრამებიო" (№ 11). ასე განმარტავს „იმერეთი" თავის პროგრამას, მაგრამ ამასთანავე იმასაც აღიარებს, რომ არც სოციალიზმს ეუცხოვება. როცა სთქვა, სოციალისტური ქურქი მოვიხადეო, თან დასძინა: „მაგრამ ყველაფერი ის, რაც მწამდა, კი არ უარმიყვია. და ის, რაც გადურჩა შინაგან კრიტიკულს მუშაობას, განთავისუფლებული დოგმატიურის რწმენისაგან, შეადგენს ახლანდელს სოფლმხედველობას, რომელსაც ძველსავე სოფლმხედველობაში უდგია ფესვები (8)". გაზეთმა თავისი თავი მიწის სოციალიზაციის წინააღმდეგად გამოაცხადა იმიტომ, რომ ასეთი მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წის მფლობელობა ინტერესების წინააღმდეგობას წარმოშობს. ამიტომ მამულის წვრილ-მესაკუთრეობას ემხრობა, ვინაიდგან იგი უფრო უწყობს ხელს ინტერესების შეთანხმებას და ჰარმონიას; გაზეთის ფიქრით, ასეთი საკუთრება ემსგავსება სოციალისტურ კომუნას, რადგან ორსავე შემთხვევაში ოჯახის თითოეულს წევრისათვის არის საინტერესო და სასარგებლო მამულის გაუმჯობესობა (2). ხოლო მეხუთე ნომერში ვკითხულობთ: „სოციალიზმი ნიშნავს საზოგადოების წევრთა ეკონომიური ინტერესების ჰარმონიულ შეერთებას, შეთანხმებას, შერიგებას. ეს ჰარმონიული ორგანიზაცია არის ნიშნობლივი თვისება სოციალიზმისა. მიწის სოციალიზაცია კი ნიშნავს ეკონომიური ჰარმონიის უარყოფას... მაშ შევქმნათ წვრილ მესაკუთრეთა ისეთი ამხანაგობანი და კოოპერაციები, რომლებშიაც სავსებით იქნება დაცული ხსენებული ჰარმონია, ე. ი. თითოეული წევრის სარგებლობა მჭიდროდ იქნება გადაბმული და შეკავშირებული ამხანაგობას სარგებლობასთან". მაგრამ ამასთანავე წერილის ავტორი იმასაც გვეუბნება: „იქნება თუ არა ოდესმე სოციალიზმი იმ სახით, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია, ვერავინ იტყვის წინდაწინ, მხოლოდ ეს კი უეჭველია: ეკონომიური პროგრესი მოასწავებს ეკონომიურს ჰარმონიას, შეთანხმებას, მოწესრიგებას". კიდევ უფრო გაბედულად ლაპარაკობს გაზეთი მეთერთმეტე ნომერში, სადაც აღნიშნავს რა კოოპერაციების საჭიროებას, დასძენს: „სად დაიდება საზღვარი ამ კოოპერაციებს? გარდაიქმნებიან თუ არა ისინი ბოლოს და ბოლოს სოციალისტურ წესწყობილებად? ამის წინდაწინ თქმა არავის შეუძლია. ეს კი: კოოპერაციები მოასწავებს შრომის იმგვარ განსაზოგადოებას, რომელსაც პირადსა და საზოგადო ინტერესებს შორის წინააღმდეგობა კი არ არის, არამედ ჰარმონია სუფევს... მაგრამ ეს სოციალიზმი არ . არის. სოციალისტი ეწოდება იმას, ვისაც **დღესვე** (ხაზი ჩვენ გაუსვით ამ სიტყვას. ქ.) სურს აწარმოვოს სოციალისტური პოლიტიკა, **დღევანდელი პირობები მიაჩნია საკმაოდ** სოციალიზმის განხორციელებისათვის (ხაზი ჩვენია). ამ მხრით კი ჩვენ არ ალვიარებთ სოციალიზმს".

მკითხველი ნუ დაგვემდურება, რომ ასე ბევრი ადგილი გვაქვს ამოწერილი „იმერეთიდან". ჩვენ გვინდა, თვითონ ეს გაზეთი ვალაპარაკოთ, რომ თითქმის გავჩუმდეთ და მისი საკუთარის სიტყვით დავახასიათოთ მისი ვინაობა.

ზემო მოყვანილს ამონაწერებში აზრების წინააღმდეგობაა, ცხადია. მაგრამ შევურიგდეთ ამას და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გაზეთი „იმერეთი" თავის თავს მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველად აღიარებს, მისთვის მშრომელი ხალხი ერის დედაბოძია და უკანასკნელის კეთილდღეობა დამოკიდებულია პირველის კეთილდღეობაზე და „სოციალისტურ" მიდრეკილებასაც კი იჩენს; თუმცა ამბობს, დღეს სოციალიზმი არ განხორციელდება, მაგრამ ხვალინდელი სოციალისტი კი ვარო, და ესწრაფვის ისეთს შეთანხმებულს ეკონომიურს წესწყობილებას, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის დროს.

მაგრამ ნურავინ იფიქრებს: თუ ქართული გაზეთი მუშათა მეგობარია, ბურჟუაზიული კლასის მტერი უნდა იყოსო. იგი არა ნაკლების თავგამოდებით იცავს ბურჟუაზიის, წვრილ-წარმოებელთა ინტერესებს. მისთვის აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს. როგორ?—ეს ვნახოთ შემდეგს წერილში. ქ.

აკადემიკოს ნ. მარის წერილი ქართული გალობის შესახებ

(დასასრული *)

ქართველების რელიგიური მუსიკალური ტრადიციები მარტო ორ კილოში არ გამოიხატება. ყოველ შემთხვევაში საეკლესიო საგალობლებად გარდაქმნილ რელიგიურ სიმღერებთან ერთად არსებობს ძველი კულტის რელიგიური სიმღერების ნაშთი—სახორო სიმღერები. გურულებს და მეგრელებს ეს შერჩათ საერო სიმღერის სახით; სხვების სიმღერებს კი, მაგალ: სვანებისას და აფხაზებისას აქამდის მეტი ნაწილად რელიგიური გალობის ხასიათი აქვს.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ქართველების მუსიკალური ტრადიციები კავკასიის ნიადაგზე აღმოცენდა. ამ ტრადიციებში ჩვენ ვხედავთ უძვირფასეს ნაშთებს წინა აღმოსავლეთის იმ ძველის-ძველ კულტის ხმებისას, რომელიც დაიმკვიდრეს ქართველებმა ელამსა და მის ახლო-მახლო მცხოვრებ თავის მონათესავე უძველეს ტომისაგან. ამ ხმების სიძველე ისე დიდია, როგორც სიძველე წინა აზიის რელიგიებისა, რასაც მოწმობს ლურსმული წარწერები. ამ შორეულის, უძველეს დროიდან მომდინარეობს არა მარტო რელიგიური კილოები ქართველებისა, არამედ მათი რელიგიური ტერმინებიც, თუმცა სრული გაქრისტიანულება ეტყობა ერთსაც და მეორესაც.

a-პრიორი შეიძლება ითქვას, რომ სხვა ქრისტიანე ეკლესიებთან ურთიერთობის დროს მრავალი საუკუნის განმავლობაში ქართული საეკლესიო გალობა დაემორჩილა ამა თუ იმ გავლენას, მაგრამ ამ გალობის საფუძველს შეადგენს აღმოსავლეთის ხალხური ტრადიციების შემოქმედება, რომელიც გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე ქართველების გაქრისტიანება და თვით ქრისტიანობის წარმოშობა საზოგადოდ. ქართველების სიმღერები ნაშთია ძველი აღმოსავლეთის რელიგიური კულტისა და არა სემიტურ და არიულ ტომებისა, არამედ მეცნიერების მიერ ახლად გამოკვლეულ იაფეტურ ტომებისა, რომელთა ცოცხალი წარმომადგენლები დღესაც არიან და იცავენ დედამიწის უძვირფასეს ნაშთებს. როგორც სახეთის ხუროთმოძღვრების შესწავლის დროს, რომელმაც საერთო ყურადღება მიიპყრო ბოლო დროს, იძულებულნი ვართ მივიდეთ სემიტებისა და არიელების წინა დროის ხუროთმოძღვრო ხელოვნების ფესვებამდე, ამგვარადვე ქართული სიმღერის და გალობის გამოსაკვლევად უნდა მივმართოთ წინა აღმოსავლეთის უძველეს ნაშთებს...

ძველი კულტი არ გამოიხატება მარტო არქიტექტურულ ხაზებში. კულტის ისტორიას არ შეუძლიან უყურადღებოდ დასტოვოს ხმათა ნაშთები, რომლებიც ისე მჭიდროდაა დაკავშირებული რელიგიასთან, განსაკუთრებით როცა ამის შესასწავლად არსებობს წყაროები. თუ ხუროთმოძღვრო ნაშთების აღმოსაჩენად საჭიროა გათხრა, ფრთხილი და რთული, დადგება დრო, რომ გამოკვლევა ყურადღებას მიაპყრობს სულ სხვა მხარესაც, სახელდობრ ეთნოგრაფიულს. კავკასიის ეთნოგრაფიის გამოკვლევა, ცოცხალი სიძველეთა შესწავლა უეჭველია მოგვცემს იმას, რაც აკლია დღეს არა მარტო ქართული ეკლესიის და ქართული ერის ისტორიას, არამედ წინა აღმოსავლეთის ძველ კულტურულ კერის ისტორიასაც, იმ კერის, სადაც იყო აკვანი თუ მთელი კაცობრიობის არა, ჩვენი ევროპის კულტურისა მაინც. მაგრამ სანამ ფილოლოგია იგვიანებს, მიტომ რომ კვლევის ძველებურ სქოლასტიურ მეთოდს მისდევს, თუ საკმაო სახსარი არ მოეპოვება, ცხოვრება არ იცდის: გატაცებულმა მუშაკებმა სხვა მხრივ შემოუარეს საქმეს და დაამუშავეს ძვირფასი ნაშთები, რომლებიც გაუცნობლად იღუპებიან. და ჩვენ არა დაგვრჩენია-რა იმის მეტი, რომ მოვისმინოთ ის, რაც სხვა პირობებში უნდა მოესმინა არა მარტო განვითარებულს (თუმც ცალმხრივად განვითარებულს) ყურს.

სიღნაღის საურთიერთო ნდობის საზოგადოება

16 მარტს ახალ კლუბის დარბაზში მოხდა წლიური კრება სიღნაღის საურთიერთო საზოგადოების წევრებისა. თავმჯდომარედ ნაფ. ვექილის თანაშემწე გ. დაფქვიაშვილი აირჩიეს. კრებას უნდა განეხილა 1) წარსული 1913 წლის ანგარიში, 2) მოგების განაწილება, 3) განხილვა და დამტკიცება 1914 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა და 4) ერთის დირექტორის, საბჭოს სამი წევრის, სარევიზიო კომისიის სამი წევრისა და მათი კანდიდატების არჩევა. კრებას 350-მდე წევრი დაესწრო. წაიკითხეს კომისიის მოხსენება ბანკის საქმეების მიმდინარეობისა. შემდეგ წაკითხულ იქმნა საბჭოს მოხსენება. ბანკი დაარსებულა 6 მაისს 1912 წ. სამოქმედო თანხა ჰქონია 6610 მ. წელიწად-ნახევრის განმავლობაში, მოქმედება თვალსაჩინოდ გაფართოვებულა და 1914 წ. პირველ იანვრისათვის ჯამს (ბალანსი) ოცდა ხუთჯერ უმატნია და უდრის 161,302 მ. 16 კ. შარშან ბანკში დატრიალებულა (შემოსავალი და გასავალი) 2,341,999 მ. 86 კ. მთელი შემოსავალი ყოფილა 11,802 მ. 86 კ. აქ არ შედის ის სარგებელი, რომელიც გადავიდა 1914 წ. ანგარიშში (3868 მ. 23 კ.). წმინდა მოგება დარჩენილა 2.503 მ. 03 კ. საზოგადოების წევრთა რიცხვი დაარსებისას ყოფილა 79. პირველ იანვარს 1914 წელს 642-მდე ასულა, 201,450 მანეთი. პასუხისმგებლობით. პირველ იანვარს 1914 წ. მიბარებული ყოფილა 73415 მან. 74 კაპ. სახელმწიფო ბანკს გაუხსნია ნდობა 10,000 მან. ამას გარდა სხვა ბანკებთან ჰქონია დამოკიდებულება და დატრიალებულა 62,000 მ. 1913 წ. განმავლობაში ბანკს გაუცია წევრებზე 237,606 მ. პირველ იანვარს 1914 წ. ბანკში ყოფილა 122,597 მ. განაღდებული თამასუქები.

საანგარიშო წლის განმავლობაში საბჭოს და გამგეობას ჰქონია 18 სხდომა. საანგარიშო წელს ბანკს წმინდა მოგება დარჩენია 2503 მ. 53 კაპ. ეს მოგება განაწილდა ამ რიგად: სათადარიგო თანხას მიემატა 250 მ. 35 კ. 191 მ. 01 კ. სახელმწიფო გადასახადი, დანარჩენი 2062 მ. 16 კ. გადაიდო საკუთარი შენობის ასაგებად ბანკისათვის.

საბჭომ სთხოვა კრებას, თანახმად სარევიზიო კომისიის მოხსენებისა დაამტკიცოს 1913 წ. ანგარიში და დაამტკიცოს 1914 წ. ხარჯთ-აღრიცხვა.

კრება შეუდგა 1913 წ. ანგარიშის მუხლობრივ განხილვას და სავსებით დაამტკიცა ისე, როგორც წარმოადგინა საბჭომ.

შემდეგ შეუდგნენ 1914 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას და ესეც უცვლელად მიიღეს, როგორც საბჭომ წარმოადგინა.

შემდეგ მოხდა არჩევნები. მეორე დირექტორად არჩეულ იქმნა შალვა გოგებაშვილი, ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, უმაღლეს კომერციულ ცოდნით აღჭურვილი. საბჭოში აირჩიეს ძველთაგან კონ. ჯაფარიძე, ახლები —ივ. ზურიაშვილი.—ვაჭარი, დ. მ. დაფქვიაშვილი—ნაფ. ვექ. თანაშემწე. სარევიზიო კომისიაში მოჰყვნენ, ძველების მაგიერ, რომელთაც უარი განაცხადეს: ზ. ნაცვლიშვილი, შ. მირიანიშვილი და ლ. ნადირაშვილი, კანდიდატებად—მიხ. გოცირიძე და შაქ. ნაცვლიშვილი.

განწირული.

დაუჯერებელი ამბავი

(წერილი ახალციხიდან).

დიდი ხანი არაა ზოგიერთმა გაზეთებმა გადმობეჭდეს „ჰორიზონი"-ს მიერ შეტყობილი ამბავი, ვითომც ართვინის სომეხ-კათოლიკეთა სამღვდელოებას მიუღოს მოწერილობა (ის კი არაა გამოცხადებული თუ ვისგან?), რომ ამიერიდან იმათ უნდა აწარმოვონ ყველა საეკლესიო და სასკოლო საქმეები, აგრეთვე ღვთის-მსახურება ეკლესიებში ლათინურს ენაზე, ერთი სიტყვით, ამიერიდან აღარ იწოდება სიტყვა „სომეხ-კათოლიკე", არამედ უნდა იწოდებოდნენ „კათოლიკედაო".

ეს დაუჯერებელი ამბავი თითქმის ყველა ქართველ კათოლიკეებმა პროვოკაციად მონათლეს, მონათლეს მით უფრო, რომ დასაჯერებელი რომ ყოფილიყო ეს ამბავი, „მოწერილობა" სამესხეთოს კათოლიკე ქართველებსაც მოუვიდოდათ, რადგანაც ისინიც დროთა ვითარების გამო, დიდი ხნიდან სომხის ტიბიკონს ექვემდებარებიან. პირიქით, ამგვარი მოწერილობის მაგიერ, ამათი სამღვდელოება, არხიმანდრიტი ტერაბრამიანისაგან სრულიად სხვანაირს სასტიკს მოწერილობას იღებს: „გავიგე, ზოგი ქართველ კათოლიკენი თავიანთ შვილებს ლათინის წესით ანათვლინებენ პატრებსა და თქვენ რა ყური წაგიგდიათ და არ უშლით ამას პატრებსა და თქვენ არა ნათლავთ სომხის ტიბიკონზეო". ამის გამო, გაჯავრებული არხიმანდრიტი ავალებს, სამღვდელოებას, რათა ჩქარა შეატყობინოს ამის გამო ყოველივე დაწვრილებითა. რომის პაპს ასეთი რამ განკარგულება თუ რომ მოეხდინა და სომხის ტიბიკონი ლათინის ტიბიკონისათვის შეერთებინა, მაშინ არხიმანდრიტი ტერაბრამიანი როგორ გაბედავდა ამისთანა სასტიკს მოწერილობას ახალციხის სამღვდელოებისადმი?! ან და სამესხეთოს ქართველ კათოლიკებსაც არ უნდა მიეღოთ ართვინის მსგავსად მოწერილობა, როდესაც 35 წელიწადია, რაც მესხი ქართველ-კათოლიკეები სცდილობდნენ სომხის ტიპიკონიდან ჩამოშორებას და ლათინის წესზე გადასვლას? რადა ართვინელებს უეჭკეკა ვატიკანმა ლათინის წესზე შეერთება და ახალციხის ქართველ კათოლიკებს კი არა აცნობარა.

ჩემი აზრით, ეს ამბავი, ზოგიერთმა სომეხ-კათოლიკეებმა განგებ მოაჰორეს. სარატოვის რომის კათოლიკეთა ეპარქიის ეპისკოპოსს კესლერს შარშან, ახალციხეში მოსვლისას, ქართველმა კათოლიკეებმა თხოვნა მიართვეს, ეშუამდგომლა რომში პაპის წინაშე, რათა იგინი სომხის ტიბიკონისაგან ჩამოეშორებინა და ლათინის წესზე გადაეყვანა. იგი შეჰპირდა შუამდგომლობას პაპის წინაშე. ზამთრის პირზე კიდეც წავიდა რომში და ის პასუხი მოიტანა კესლერმა, რომ ვატიკანი ამ აქ მოკლე ხანში განიხილავს და პასუხს გვაცნობებენო. სწორედ ახლა იდროვეს ზოგიერთებმა და განგებ გაავრცელეს ართვინის სომხის კათოლიკეთა სამღვდელოებასადმი ასეთი „მოწერილობა", რათა ამით აღაშფოთონ სომხები და აამხედრონ საბრძოლველად ვატიკანის წინააღმდეგ, რომ ისინი სრულიად არ ისურვებენ ლათინის ტიბიკონსა, რითაც ქართველ კათოლიკებსაც ხელს შეუშლიან, რომ ვატიკანმა ნება არ მისცეს მათ ლათინის ტიბიკონზე გადასვლისა. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი ასეთ დაუჯერებელი ამბავის გავრცელებისა, რასაც მომავალი დაგვიმოწმებს.

მოკეთე.

ხმა ზუგდიდიდან

ამბობენ მაგალითი მაგალითსა ჰბადებსო. ეს მართალია, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენში ფეხს უფრო იკიდებს ცუდი მაგალითი და კარგი კი ძნელად. ეს ჩვენი მხარეც გამონაკლისს არ წარმოადგენს სიამოვნებით კი აღვნიშნავ, კარგი მაგალითი აქ ფეხს მოიკიდებს თუ ცოტა რამ სიცოცხლე გამოიჩინა ინტელიგენციამ როგორც დაბისა, აგრეთვე სოფლისამ.

ამ ორი-სამი წლის წინად აქ ქართულს ვერას ნახავდით, მაგრამ მობძანდა ჩვენი მგოსანი აკაკი და აქაურებიც დაფაცურდნენ. ღირსეულად დაუხვდნენ სტუმარს და ღირსეულადვე აღნიშნეს აქ მისი კვალი: დაარსეს მის სახელობის ბიბლიოთეკა, რომელმაც უკვე დიდი ნაყოფი გამოიღო. მას ზედ დაერთო ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგ. განყოფილების დაარსებაც, რომლის შეოხებით და აქაურ ინტელიგენტების დახმარებით უკვე გაიხსნა დ. ხობში ბიბლიოთეკა ილიას სახელობისა და ს. ქვალონშიაც. სამწუხაროდ, გუბერნატორმა უარჰყო შუამდგომლობა დაერქვათ ქვალონის ბიბლიოთეკისათვის არჩილ ჯორჯაძის სახელი.

მათის მიხედვით სხვაგანაც მოინდომეს ბიბლიოთეკების დაარსება და ბეჯითად შეუდგნენ საქმეს. უკვე შემოტანილია გამგეობაში თხოვნები რათა ს. დარჩელში, დ. ანაკლიაში და წალენჯიხაში გახსნან ბიბლიოთეკები, რომელთა მოწყობას და შენახვას თვით საზოგადოება ჰკისრულობს.. ს. წალენჯიხაში იქაური აზნაური შვილი გვაჯავა აშენებს ორ-თვლიან ქვიტკირის შენობას დერეფნით და აწყობს თავის ხარჯით, იმ პირობით კი, დაერქვას ამ ბიბლიოთეკას მისი გარდაცვალებულ ძმის გრიგორი გვაჯავას სახელი. ეს არის მაგიერი ძეგლისა, და მეტად მოსაწონი და საგულისხმო. აი ამ მაგალითს ბევრმა რომ მიჰბაძოს სასიამოვნო იქნება. გვაჯავამ გამგეობაში შემოიტანა განცხადება და ჰპირდება შენობა და მისი მოწყობა მოათავოს ენკენისთვემდე, რაიც ჯდება 2 ათას მანეთამდე. დიდ თანაგრძნობას იწვევს ამისთანა მაგალითი ხალხში.

სხვა დაბებში და სოფლებშიც ჰსურთ გახსნან ბიბლიოთეკები და საჭიროა რომ გამგეობა დაეხმაროს და ერთ-ერთი წევრი მიაგებოს მათ სურვილს, ადგილობრივე ჩაუდგეს სათავეში და დააბოლოვოს კიდეც მათი განზრახვა.

იმედია ამ მოკლე ხანში ზუგდიდის მაზრა მოიფინება წიგნთსაცავ-სამკითხველოებით, რომელთა მიზანი იქნება ხალხში შეიტანოს განათლება და დავარდნილი, დავიწყებული მშობელი ენა კვლავ აღადგინოს, რისთვისაც საჭიროა ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. ამასთანავე საჭიროა მალე ამ ბიბლიოთეკებს გვერდში ამოუდგეს ქართული სკოლებიც, რომლის დაარსებას როგორც გავიგეთ, ჰფიქრობს აქაური გამგეობა და მთავარი გამგეობაც ხელს უმართავს.

გიორგი ფიცხოველი.

წერილი სამურზაყანოდან

მოსულ ქართველთა მდგომარეობა სამურზაყანოში მეტად აუტანელია; დაცინვა, დამცირება და მრავალგვარი შევიწროება ყოველ მოსული ქართველის აუცილებელი ხვედრია; ვერ ნახავთ ერთ ქართველს, რომელსაც სამურზაყანოში რამდენიმე წელიწადი ეცხოვროს და თავდასხმა, დევნა და განადგურება არ განეცადოს. რასაკვირველია, გაუგებრობით აიხსნება ის მოვლენა, რომ სამურზაყანოს მცხოვრებლებს თავი არა ქართველებად, და ქართველობა კი დანაშაულობად წარმოუდგენიათ.

თუ სამურზაყანოში გსურს ცხოვრება, უთუოდ უნდა დაივიწყოთ საკუთარი მრწამსი, სრულიად გაითქვიფოთ ადგილობრივ დრო-მოჭმულ ზნე-ჩვეულებაში და მოცლილ „ბრწყინვალე" წოდებასთან ღვინის სმით და მრავალჟამიერის ძახილით ატაროთ დღენი. სამურზაყანოში გავლენიან პირებად მხოლოდ ბრწყინვალე წოდება ითვლება: გლეხობა მორჩილი და დიდი თაყვანის მცემელია თავად-აზნაურობის. ყოველი კითხვის გადამწყვეტი სამურზაყანოში მხოლოდ თავად-აზნაურობაა.

სამურზაყანოში ქართული ენის მცოდნეს ძალიან ნაკლებად შეხვდებით! უმეტესობა მეგრულად ლაპარაკობს, ახალგაზდობა კი, მეგრულს გარდა, რუსულადაც სიამოვნებით ტიკტიკობს. მოისპო ქართველური სული სამურზაყანოში. ყველა სკოლებიდან ქართული ენა განდევნილია და ახლა იგი ეკლესიებიდანაც თანდათან იდევნება. აუცილებლად საჭიროა ქართული სკოლა სამურზაყანოში და იმედია წ. კ. გ. საზოგადოება ბ-ნი პეტრე ქარაის შუამდგომლობას შეიწყნარებს და რაც შეიძლება მალე გახსნის ქართულ სკოლას სამურზაყანოში, რითაც ამ მიგდებულ და მივიწყებულ მხარეში ქართველური სულს ცოტათი მაინც გააძლიერებს.

ბ. ქ—ია.

მუშათა ცხოვრება

პეტერბურგი. (დეპ.) განუსაზღვრელი დროით დაიხურა პუტილოვისა, ბალტიის გემთა ქარხანა, ძველი და ახალი ლესნერის ქარხნები, რუსეთის საზოგადოების სამხედრო იარაღის დამმზადებელი ქარხანა, სიმენსისა და გალსკეს ქარხანა, ლიუდოვიც ნობელის, ნევის ძაფის სამრეწველო ქარხანა. ამ დახურულ ქარხნებში მუშაობდა სულ 60,000 კაცი.

პეტერბურგის ქალაქის უფროსმა ადმინისტრატიულად ერთი თვით დაატუსაღა დემონსტრაციებში მონაწილეობის მიღებისათვის და რევოლუციონური სიმღერების მღერისთვის 32 მუშა, რომელთაგან ხუთი ქალია.

პეტერბურგის მუშათა მოძრაობა დღითი-დღე მწვავდება. რამდენიმე შეიარაღებული შეტაკებაც მოხდა.

მუშათა გაფიცვა თავისთავად არაჩვეულებრივ მოვლენას არ წარმოადგენს. დღეს კი ამ მოძრაობას პოლიტიკური სარჩული აქვს. ეს გაფიცვები გამოიწვია მუშათა კაზეთების დევნამ და ლენში მომხდარ უბედურების თაობაზე სათათბიროში შეტანილმა შეკითხვამ. ამ ნიადაგზე წინადაც ყოფილა გაფიცვები, მაგრამ დღეს მდგომარეობა უფრო გამწვავებულია. ამ უკანასკნელ დროს რუსეთ-ამერიკის ამხანაგობის სამრეწველოში უცნაური ამბები ხდება: სამრეწველოში მუდამ დღე აუარებელი მუშა-ქალი იწამლება. ეს ამბავი საგონებელში აგდებს და შიშის ზარსა სცემს როგორც მუშებს, ისე საზოგადოებას. მუშის ბედი ყოველ წუთს ბეწვზე ჰკიდია. ასეთს მდგომარეობას სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს მუშები. ადვილი გასაგებია, რომ მუშები გულმოდგინედ ეკიდებიან ამ საქმეს და უბედურებისაგან თავის დაღწევას სცდილობენ. ერთბაშად, გამოურკვეველ მიზეზებისა გამო, ამოდენა მუშა-ქალი იწამლება. მოწამლულებს მშობლებსა, ნათესავებსა და ამხანაგებს არ აკარებენ. საქმეს არსებითად არ იძიებენ. რა თქმა უნდა ყველა ეს განსაკუთრებულ პირობებში აყენებს მუშებს და მდგომარეობას ამწვავებს. საქმეს უფრო ის ართულებს, რომ მუშების მოცადინეობას, მოწამვლის მიზეზების გამორკვევაში, ჰზღუდავენ და აბრკოლებენ. თავისთავად იბადება უნდობლობა და მძულვარება. საით მიაქანებს ქვეყანას ასეთ საშინელ პირობების შემქმნელი პოლიტიკა? (რ. ს.).

საკანონმდებლო დაწესებულებებში

ოპოზიცია და სამხედრო სესხი. ოპოზიციურ წრეებში მოლაპარაკებაა, რომ სამხედრო სესხის საქმეში შეთანხმებულად იმოქმედოს. აზრად აქვთ საერთო თათბირი იქონიონ და ეცადნენ, მთელმა ოპოზიციამ ერთ სულით იმოქმედოს ამ საქმეში, რადგანაც სამხედრო სესხის საკითხში უფრო, ვინემ სხვა რომელიმეში, საზოგადო აზრზე გავლენისთვის აუცილებელია ოპოზიციის სრული ერთსულოვნება.

მემარჯვენენი სინოდს წინააღმდეგ. მემარჯვენეებმა შეიტანეს სათათბიროში საკანონმდებლო წინადადება ქ. ტომსკში სასულიერო აკადემიის დაარსების შესახებ იმ მიზნით, რომ ნათლად დაანახვოს სინოდს სიმრუდე მისი გადაწყვეტისა, რომლითაც ისინი ქ. ვილნოში აპირებენ სასულიერო აკადემიის დაარსებას.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პასუხისუგებლობა. როგორც ხმებია, გორემიკინი მაინც დაჟინებით მოითხოვს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პასუხს არ აგებდეს სათათბიროს წინაშეო. ამ აზრს იგი თურმე იმითი ასაბუთებს, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა ხანდახან კანონით უმაღლეს მთავრობის ხელში გადადის ხოლმეო. ამტკიცებენ, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და იუსტიციის მინისტრი წინააღუდგებიან სათათბიროს მიერ სენატის შესახებ კანონ-პროექტში შესწორების შეტანას, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სენატს ექვემდებარებოდეს.

გლეხ დეპუტატთა მისწრაფებანი. სათათბიროში შემდგარმა გლეხების უპარტიო ჯგუფმა ამ უკანასკნელ ხანებში შემდეგი საკანონმდებლო წინადადებით გამოსთქვა თავისი სურვილი: საჭიროა მოეწყოს გლეხთა წოდების ობლების და შრომის უნარდაკარგულ პირთა მზრუნველობა, შაქარი და ნავთი დაიაფდეს, სასოფლო სამეურნეო დაწესებულებათა ხარჯი ხაზინამ იკისროს და გლეხთა ნიჭიერი შვილების საშუალო და უმაღლესი სწავლა მიაღებინოს ხაზინამ სტიპენდიების დაარსებით.

გლეხების ჯგუფს შეუდგენია კანონ-პროექტი, რომლითაც ყველა საშუალო და უმაღლესს სასწავლებლებში უნდა დაარსდეს სტიპენდიები. ამ სტიპენდიებს მიიღებენ დაბალ სასწავლებლის ნიჭიერი მოწაფენი, რომელთაც სწავლის გაგრძელება ჰსურთ, ხოლო შეძლება კი არა აქვთ. სწავლის დასრულებისას ისინი იმსახურებენ სახელმწიფო სამსახურში, სანამ არ გადიხდიან მათზე დახარჯულ ფულს. გლეხების ჯგუფი ცდილობს აგრეთვე გლეხებისთვის მოაწყოს წვრილი სესხის საქმე და დაეხმაროს გაჭირვებულ სოფელს. ამ მიზნით სასურველად მიაჩნიათ, ყველა მაზრაში სახელმწიფო ბანკის განყოფილებები დაარსდეს, რომ ამ განყოფილებებს შეეძლოთ მოაწყონ ყველა საბანკო და სესხის საქმე და ისევე ეხმარებოდნენ გლეხებს, როგორც ეხლა ეხმარებიან მრეწველებსა და ვაჭრებს. ბოლოს, გლეხთა დეპუტატები წინადადებას იძლევიან ყველა 60 წელზე გადასულს გლეხს პენსიად წელიწადში 60 მანეთი ეძლეოდესო.

რომეტ-კაიოს საქმე

(ს. პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

პარიზი. გამომძიებელ კომისიის დასკვნა ამტკიცებს, რომ რომეტის საქმის გადადებაში მთავრობა ჩარეულა. მინისტრების ჩარევა შეიძლება სხვა და სხვა გარემოებამ გამოიწვია. მათ პატიოსნებაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. დასკვნა აღიარებს მხოლოდ, რომ კაიოსა და მონისის საქციელი უნდა ჩაითვალოს თავისი მოვალეობის უკიდურეს ბოროტად გამოყენების საქმედ. კომისია მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ფაბრმა ვერ გამოიჩინა იმდენი გამბედაობა, რომ წინააღდგომოდა სასამართლოს თავმჯდომარის გავლენას და ბრალმდებლის მეგობრობას ანაცვალა მართლმსაჯულების წესიერი წარმოება. საქმე განსაკუთრებით საწყენია, მით უმეტეს, რომ ასეთი საქციელი მიჩვეხებულია მთავრობის ზნე-ჩვეულებისა და ფინანსისტების ძლიერი გავლენისა. კომისია აღნიშნავს, რომ ბრიანის დუმილმა საშუალება მისცა ბრალმდებელსა და სამართველოს თავმჯდომარეს შეცდომაში შეეყვანა პირველი გამომძიებელი კომისია და გაოცებას გამოსთქვამს, როგორ იკადრა ბარტუმ და თავის მოადგილეს არ გადასცა ინფორმაციის ასეთი დიდმნიშვნელოვანი საბუთი, სამაგიეროდ იგი პარტიულ იარაღად გამოიყენა.

პარიზი. რესპუბლიკელმა სოციალისტებმა ბრიანის პატივსაცემად გამართეს ბანკეტი, სადაც ბრიანმა სიტყვა წარმოსთქვა და თავისი პარტიის პოლიტიკა დაახასიათა. შეერთებულ სოციალისტთა უმეტესობამ საწინააღმდეგო მანიფესტაცია გამართა, უსტვინა, სცდილობდა საბანკეტო დარბაზში შესულიყო. პოლიციამ ისინი არ შეუშვა. არეულობის დროს 6 კაცი დაატუსაღეს. ერთი პოლიციელი დასჭრეს.

---

*) იხ. „სახ. გაზ." № 1145.

ირლანდიის ავტონომიის გარშემო

ჟურნალ-გაზეთებიდან.

აფიცერთა მოძრაობის ისტორია.

ინგლისის სამხედრო მინისტრის განცხადებებიდან გამოირკვა შემდეგი: ულსტერში მღელვარება იყო. სამინისტრომ საჭიროდ სცნო, იქაურ სამხედრო სურსათისა და ზარაფხანების დაცვა გაეძლიერებინა. ამიტომ განკარგულება მოახდინა ჯარის ზოგიერთი ნაწილები გადაეყვანათ. ეს განკარგულება ირლანდიაში სწორედ ვერ გაიგეს. ამაში უმთავრესად ბრალი ირლანდიის ჯარების მთავარ სარდალს პეჯეტს ედებოდა. გენერალმა იფიქრა, რომ სახელმწიფოს ქონების დაცვისთვის ჯარების გადაყვანას ულსტერის აჯანყებულთა წინააღმდეგ მებრძოლი ჯარების გადაყვანაც მოჰყვებოდა. ამიტომაც პეჯეტმა მოისურვა გაეგო, თუ რომელი აფიცრები უფრო სანდონი იყვნენ. ამისათვის იგი აფიცრებს შეეკითხა: მზად არიან თუ არა, ამა თუ იმ პირობებში იმსახურონ ულსტერში.

უპირველეს ყოვლისა ასეთი მიწერილობა ცხედროსნის მესამე ბრიგადის აფიცრებმა მიიღეს. აფიცრების თათბირი მოხდა. ბრიგადის გენერალმა პოურ გოფმა განაცხადა, სამსახურიდან გადადგომა გადავწყვიტეთ. აფიცრებს კი ურჩია, სერიოზულად ასწონ-დასწონეთ და თქვენი გადაწყვეტილება გვაცნობეთო. მაშინვე თითქმის ყველა აფიცრებმა განაცხადეს თქვენს მაგალითს ჩვენც მივყვებითო. ეს გადაწყვეტილება მაშინვე მეხუთე პოლკს აცნობეს, სადაც 76 კაციდან 70 შეიტანა გადადგომის ქაღალდი. საღამოს ეს ამბავი პეჯეტმა შეიტყო. მან ყველაფერი დაუყონებლივ სამხედრო სამინისტროს აცნობა. მეორე დღეს მოიწვია სამივე აჯანყებული პოლკის 50 უფროსი აფიცერი. პეჯეტმა მათ გამოუცხადა, სამხედრო სამინისტრო შეიწყნარებს გენერალ გოფისა და მაიორ კესლეის თხოვნას გადადგომის თაობაზე. დანარჩენი აფიცრები კი კვლავ სამსახურში უნდა დარჩენ და თავისი საქციელის გამო პასუხი აგონ, ე. ი. თუ შესაფერი განკარგულების მიღების შემდეგ ოლსტერში არ წავლენ, ურჩობისათვის სამხედრო სამართალში მიიცემიანო. გენერალმა გოფმა და მაიორმა კვოსლეიმ უარი სთქვეს მათდამი მიჩიქებულ შეღავათზე და განაცხადეს, ჩვენს ამხანაგების ბედს გავიზიარებთო. ამ მოლაპარაკების დროს აფიცრებს განუმარტეს, რომ ულსტერისაკენ ჯარის მოძრაობის მიზანია სახელმწიფო ქონების დაცვა და წესიერების დამყარებაში პოლიციელების დახმარებაო. აფიცრებმა უპასუხეს, რომ პირობებში ახლა ვართ ულსტერში წავიდეთ. ხოლო ულსტერლებს საწინააღმდეგო მოქმედებაში კი მონაწილეობას არ მივიღებთო. აფიცრების გადაწყვეტილება ტელეგრაფით ლონდონში აცნობეს. გენერალი გოფი და ორი პოლკის უფროსი აფიცრები ლონდონში დაიბარეს.

სამინისტროში მათ განაცხადეს, არ ვიცოდით საქმის ვითარება, თუ ჩვენგან მხოლოდ სამოქალაქო მთავრობის დახმარებას მოითხოვდნენ კანონების დასაცავადო. გენერალმა გოფმა განაცხადა, გადადგომის ქაღალდი მხოლოდ იმიტომ შევიტანე, რომ მეგონა ულსტერზე თავდასხმას აპირებენო. გენერალ ფრენჩის აზრით, აფიცრების ყოფაქცევა მეტად მკაცრი სასჯელის ღირსია, მაგრამ შემდეგ გენერალ რობერტის ჩვენებით აფიცრების განმარტება დამაკმაყოფილებლად არა სცნო: სამხედრო მინისტრმა გოფს განუცხადა, მთავრობას არ განუზრახავს გალაშქრება ისეთ ხალხის წინააღმდეგ, რომელიც თვითონ არ ასტეხს სროლასაო. აგრეთვე ფიქრად არ მოგვსვლია ხალხი დახვრეტის შიშით კანონს დავუმორჩილოთო. გოფი მიჰხვდა გაუგებრობას და წერილობითი საბუთი მოითხოვა, რომელიც ამ გაუგებრობას ნათელსა ჰფენდა. გოფმა გადაჭრით მოითხოვა თუ ვინიცობაა ჰომრულის კანონ-პროექტი კანონად იქცევა, მთავრობამ იგი და მისი ამხანაგები ულსტერულების დასამშვიდებლად იძულებით არ დაჰგზავნონ. 10 მარტს სამხედრო სამინისტროსაგან მან წერილი მიიღო, ამასთანავე ნებაც, რომ ეს წერილი დანარჩენ აფიცრებისათვისაც წაეკითხა. წერილში ეწერა: თქვენს თხოვნას გადადგომის შესახებ მთავრობა გაუგებრობად სთვლის; მთავრობა სამხედრო ძალას ირლანდიაში იმ შემთხვევაში მიჰმართავს, როგორც სახელმწიფოს სხვა ნაწილებისათვისაც—მხოლოდ კანონისა და წესიერების დასაცავად და წესიერების დამყარებაში სამოქალაქო მთავრობის განსამტკიცებლად.

ალბად გენერალ გოფმა ეს საკმარისად არა სცნო და მაშინ სალიმ, როგორც ის ამბობს, კაბინეტის დაუკითხავად მიაწერა, მთავრობას განზრახვა არა აქვს ბოროტად მოიხმაროს უფლება არეულობის დროს ჯარების გამოყვანისა, მას არა ჰსურს ძალით ჩააქროს მთავრობის პოლიტიკისა ან ჰომრულის პრინციპების მოწინააღმდეგე პოლიტიკური ოპოზიცია.

ასეთი განცხადება აფიცრებმა თვის გამარჯვებად ჩასთვალეს, გენერალი გოფი თავის თანამდებობას დაუბრუნდა და ამხანაგები მას ზეიმით მიეგებნენ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

20 მარტი.

უცხოეთი.

პეკინი. ჩინეთმა 8 მილიონი გირვანქა ვალი აიღო. ამ ფულით უნდა რკინის გზა გაიყვანონ სიგძით 1000 მილი. უმთავრესი ინჟინერი, ანგარიშის მწარმოებელი და მოძრაობის უფროსი ინგლისელები იქნებიან.

ტულონი. გემების ალღუმის დროს ჩაიძირა ნაღმოსანი. გემზედ მყოფნი გადაარჩინეს.

ტოკიო. უპარტიო კაბინეთის შედგენის საწინააღმდეგო მიტინგები იმართება. იაპონიის შესასწავლად ბინეთის სავაჭრო-სამრეწველოების 40 წარმომადგენელი მოვიდა.

პარიზი. გაზეთების ცნობით, მარტში გამოსცემენ 500 მილიონი ფრანკის ოსმალოს სესხს, ოქტომბერში—600 მილიონისას.

ათინა. ათინის სააგენტოს ცნობებით, ალბანელთა რაზმების გალაშქრება ავტონომიური ეპირის ტერიტორიაზე საგონებელში აგდებს ალბანეთის მთავრობას.

სოფია. საერო კრების თავმჯდომარედ 122 ხმით წინააღმდეგ 100 აირჩიეს ვაჩევი, მთავრობის მომხრე.

ჯაქსონვილი. სენტ-აუგუსტინში ცეცხლმა წაახდინა სამი სასტუმრო, ქალაქის საბჭოს შენობა, სხვა სახლები. ზარალი ნახევარ მილიონი დოლარია.

მიუნხენი. გარდაიცვალა ცნობილი მწერალი 85 წლის პაულ გეიზე.

გონგონი. მეკობრეებმა კუნძულ ლინტინის ახლო გააჩერეს ჩინური გემი, რომელიც ვუჩოუში მიდიოდა. მოჰკლეს ორი, დასჭრეს ერთი, გაიტაცეს 30000 დოლარი.

ბუქარესტი. სტამბოლიდან დეპეშით იტყობინებიან, ცნობა მოვიდა, ანატოლიაში მცხოვრებლები აჯანყდნენ და მომატებულ ხარჯებს არ იხდიანო. დიაბეკირისა და ტრაპიზონის ვილაეთის ზოგს ადგილებში შეტაკება მოხდა გლეხებისა ჟანდარმებთან და ჯართან. მარშალს ფონსანდერს, რომელიც ანატოლიაში გაეგზავნა, აზრად აქვს დასავლეთ სანაპიროების ციხე-სიმაგრეები და ჯარი დაათვალიეროსო.

სოფია. ნამინისტრალთა საქმე. ბრალდებულნი თხოულობენ საქმე გააუქმონ, რადგანაც საერო კრება არ იყო კანონიერი, როცა ირჩეოდა მათი სამართალში მიცემის საქმე. სხვა წესიერებაც საქმის წარმოებისა დარღვეულია; გენერალი სავოვი მოქმედებდა იმათის ბრძანებით, ვინც ბრალსა სდებს მათ. საქმის გარჩევა ორს კვირას გასტანს.

რომი. დეპუტატთა პალატაში სალანდრამ განაცხადა, მთავრობას განზრახვა აქვს ეხლანდელი პოლიტიკური აუცილებელი საკითხები გადასჭრასო. საჭიროა ძლიერი ჯარი, ფლოტი, ციხე-სიმაგრენი, რისთვისაც მიუცილებელია სამხედრო სესხის გადიდება 200 მილიონამდე რამდენიმე წლით. იგი წინადადებას იძლევა წინანდელ სამინისტროს მიერ შედგენილი ფინანსიური ზომები განახორციელონ. სალანდრა აცხადებს, მთავრობამ გადასწყვიტა რკინის გზის მოსამსახურეთა მდგომარეობა გააუმჯობესოს. საგარეო და საშინაო პოლიტიკის მიმდინარეობა ძველებური რჩება.

ფ რ ა ნ ც ი ა.

შალონ-სიურ-მანი. მფრინავი ტესტიულე საცდელ ფრენის დროს მგზავრიანად ჩამოვარდა. ორთავე სასიკვდილოდ დაიმსხვრა. აპარატი დაიწვა.

პეტერბურგი. სათავად-აზნაურო ბანკის გამგის თანაშემწე კარცევი სათავად-აზნაურო და საგლეხო სადგილ-მამულო ბანკების გამგედ დაინიშნა.

მინისტრთა საბჭომ მოიწონა პროექტი, რომლითაც სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკში შეიძლება დაგირავდეს მამული, რომელიც ღირს არა ნაკლებ 500 მანეთისა.

მინისტრთა საბჭომ ფინლანდიის მართვა-გამგეობის შესახები წინადადება მოიწონა. მინისტრთა საბჭომ 1914 წლის სეიმის უქვეშევრდომილესი ადრესი განიხილა. ადრესი შეეხებოდა ფინლანდიის პოლიტიკურ მდგომარეობას. საბჭომ მოიწონა ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორის აზრი, რომელიც ურჩევდა ადრესი უშედეგოთ დასტოვეთ, და თითონაც ამ გადაწყვეტილებას დაადგა.

საკანონმდებ. დაწესებულებაში.

პეტერბურგი. სასამართლოს რეფორმათა კომისიამ მსჯელობა იქონია სენატის რეფორმის პროექტის შესახებ და არ მიიღო შესწორება, რომლითაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ექვემდებარებოდა სენატს. მიიღო მხოლოდ გრაფ პენინგსენის შესწორება, რომლითაც სენატს ენიჭება უფლება, მიუთითოს ხოლმე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მისი გამოცემული ცირკულიარებისა, განკარგულებათა და ნაკაზების უკანონობაზე. ამ მხრივ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სხვა მინისტრებთან ერთად სენტს დაექვემდებარა.

უცხოეთი

ვენა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პეტერბურგიდან მიღებულმა ცნობამ, რომ განზრახულია რუსეთიდან ცხენების გაყვანა აკრძალონ. „ნეიე-ფრეიე-პრესე" ამტკიცებს, ცხენების გაყვანის აკრძალვა არ უნდა ჩაითვალოს საგანგებო სამხედრო ზომა, მაგრამ ამ ამბავმა ბირჟაზე უკვე გავლენა მოახდინა და ზოგიერთი ფასიანი ქაღალდების მაზანდა დასცა.

ეპირი. პეტერბურგში ოფიციალური ცნობები მიიღეს, ალბანეთის მთავრობისა და ეპირელების შორის მოლაპარაკება შესწყდა. ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ მეფე ვილჰემ ეპირელებს მოსალაპარაკებლად ჰოლანდიის აფიცერი ტომსონი გაუგზავნა და დაავალა ეპირელები უეჭველად დაითათბირეო. ტომსონს მან დაავალა, ეპირელებს ავტონომიაზე უარი ათქმევინოს. სამაგიეროდ გარანტია მიეცემათ სკოლასა და ეკლესიაში ალბანური ენა იხმარებოდეს; სარწმუნოების გარანტია მიეცემათ იმისიც, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს უფლება ექნებათ ალბანეთის ჟანდარმერიაში შესვლისა. ყველა ეს წინადადებანი ეპირელებმა მიიღეს. მაგრამ დავის მშვიდობიანი დამთავრება არ მოეწონა ავსტრიას და მან ძალა დაატანა ვიდს არაფერი დაეთმო. ვიდი ავსტრიის ხმას აჰყვა და აღარ ასრულებს იმას, რაც ტომსონის პირით აღუთქვა ეპირელებს. სამთა კავშირის სახელმწიფოებმა ასეთი მოქმედება პრინც ვიდისა ალბანეთისათვის სახიფათოდ ჩასთვალეს და წინადადება მისცეს ეხლავე ძალდგინოს შეწყვეტილი მოლაპარაკება ეპირელების მეთაურებთან, რათა რაც შეიძლება მალე შეთანხმდნენ.

ჩინეთი. პეკინი. უფულობის გამო მოხელეებს ჯამაგირების მხოლოდ ნაწილი დაურიგეს. ორი თვის ჯამაგირების მიუღებლობის გამო კუანჯოუში მყოფი მერვე დივიზიის ჯარისკაცები აჯანყდნენ. პროვინციებში დიდი მოძრაობაა „თეთრი მგლებისა".

მინისტრების თათბირზე, რომელსაც იუან-შიკაი თავმჯდომარეობდა, მდგომარეობა ძლიერ დამაფიქრებლად ჩასთვალეს. გადასწყდა, სამხრეთისაკენ დანარჩენი ჯარებიც გაიგზავნოს.

თეატრი და ხელოვნება

ზუბალაშვილის სახალხო სახლი. დღეს, 22 მარტს ქართული წრის მიერ ქ-ნი ო. ლეჟავას, ბ-ნი ვასო აბაშიძის და კოტე ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ავ. ცაგარლის კომედია „ციმბირელი".

ქუთაისი. ქალაქის თეატრში 23 მარტს, გაიმართება სალიტერატურო, სამუსიკო, დრამატიული და მხატვრული **საღამო**, მომღერალი დ. აკოფაშვილის მონაწილეობით. მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ნინო ჩარექოვისა, ბ.ბ. ია ეკალაძე, ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე და აკაკი სვანი. II. ბ.ბ. დ. აკოფაშვილი, გ. თუთბერიძე, ა. სადაა, გრ. მესხი, ვ. კნიტელი, ყაჩატუროვი, ყარაგოზიანი, კოფარენკო; ქ-ნნი აკოფაშვილი, მგელაძე და ბ. შარაბიძე. III. წარმოდგენილი იქნება: ვ. გუნიას 1 მოქ. ვოდ. „მონადირე". IV დასასრულ „ცოცხალი სურათები" (ქართველი მწერლები) დასდგამს მხატვარი გრ. მესხი. ანტრაქტებში მუსიკა. დასაწყისი საღამოს რვა საათზე.

რედაქტორი ნ. ქურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106 **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 53 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამ. 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **საზ.** დილ. 8 ს. 2 წ. № 19, **საზაფხ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისაკენ: **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. 00 წ.

ყარსისკენ: **საზ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევნისკენ: № 24/23, **საბარგ.-სამგზ** , 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ. № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7. **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 31 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106 **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 4/3 საფოსტო 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 მ. **ფომინა-იახიმოვსკაია** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **[illegible]** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ბ. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **ბ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **ვ. ა. მარაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შეთვალყურეობაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ერევნის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 56.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო სამკურნალო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო სამკურნალო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ბ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ლ. კეკელიშვილი** (ავლაბარი კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27).
8—9 **ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 23).
10, 11—12 **ა. გ. ტერ-ნიკოღოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 985).

ექიმი
კბილისა ნინო რცხილაძე.
გადმოვიდა მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა
გადმოვიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606" და „914"
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. [illegible]: 1—2 ს. შინაგანი ავადმყ.
[illegible]: 10—11 ს. საბავშვო, ქალებისა და ბავშვებისა.
ბ. ტ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ბეგთაბეგოვი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. შ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყ. და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვა: 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ბეგთაბეგოვი: 6—7 საათ.
რიგება-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. 1171

ფეხსაცმელების მაღაზია
თომა დ.
ჯანუარაშვილისა
მუხრანის ქ. № 2.
მიღებულია სააღდგომოდ დიდძალი ფეხსაცმელები ამხ. პეტერბურგის მექანიკური და ვარშავისა ქალებისა, ვაჟებისა და ბავშვების. ფასები საქარხნოა. აგრეთვე საკუთარი ნაწარმოები. 172.

ვეფხის ტყაოსანი
დაიბეჭდა და გამოვიდა ახლად დასურათებული „ვეფხის ტყაოსანი" სარგის კაკაბაძის რედაქტორობით. სრული ტექსტი, ნამდვილი და ჩანართი ვრცელი წერილით „ვეფხის ტყაოსნის" რედაქციებისა და რუსთველის ვინაობის შესახებ. წიგნში ჩართულია მე-XVII საუკ. მინიატურებიდან გადმოღებული სურათები. წიგნს მიიღებენ მხოლოდ ბ-ნ კაკაბაძის ხელის მომწერნი. ტფილისში წიგნი იყიდება „ნოვაია რეჩისა" (გოლოვ. პროსპექტი), და წერა-კითხვის საზოგად. წიგნის მაღაზიაში. ფასი 2 მ. 50 კ.
ჟურნალ „ჩვენი საუნჯის" ხელის მომწერთა (10 კაცი) საყურადღებოდ.
რადგან ჟურნალის გამოცემა მოულოდნელობისა გამო გვიანდება, ამიტომ ვთხოვთ ხელის მომწერთ შეგვატყობინონ, თუ ინებებენ ბ-ნ კაკაბაძის სხვა გამოცემათა მიღებას გამოგზავნილ ფულის ანგარიშში (50 პროც. დაკლებით), თუ არა და ფული უკან დაუბრუნდებათ. 1127

თევზის მრეწველნი
ძმ.
კებელოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

განყოფილება
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.
1081

მაღაზია
„ექსელან"-ი
სავ. სახ. ა. ე. და ა. დ. აკოფჯანოვებისა და ამხ.
ტფილისი, გოლოვინის პროსპ., სახლი მანთაშევისა, საზოგადოების საკრებულოს ქვეშ. ტელეფონი № 696.
რადგანაც მივიღეთ დიდ-ძალი შეკერილი რჩეული ტანისამოსი კაცებისა, ქალებისა და ბავშვებისათვის
აღდგომის მოახლოვებისა გამო დავნიშნეთ
☛ უდიდესი იაფი ვაჭრობა ☚
მეტის-მეტად იაფად. გარდა ამისა მიღებული გვაქვს
დიდ-ძალი რჩეული საქონელი,
რუსეთული და საზღვარ-გარეთული საქონელი, ყოველ-გვარ შეკვეთისათვის, რომელიც გამოცდილ გამომჭრელისა მეთვალყურეობით სრულდება.
საშური შეკვეთას 24 საათის განმავლობაში ვასრულებთ. საქონლისა სიიაფეში და აურაცხელ რჩეულ საქონლის ღირსებაში გთხოვთ თვითონ დარწმუნდეთ.
ფ ა ს ე ბ ი შ ე უ ვ ა ჭ რ ე ბ ლ ა დ.
1130

ტფილისი, სტამბა „შრომა", მუხრანის ქუჩა. ტელეფონი № 14—42.